# ველომარშრუტი
## ბათუმი-მირვეთი-ბათუმი

**მარშრუტის ტიპი:** წრიული

**მარშრუტის სიგრძე** - 50 კმ

**გზის საფარი** - ასფალტირებული, სასოფლო გრუნტიანი გზა

**მარშრუტის სირთულე** - საშუალო

**მანძილი ბათუმიდან** - 27 კმ

**მანძილი ბათუმამდე** - 23 კმ

**სიმაღლე ზღვის დონიდან:** დასაწყისში 3 მ, დასასრულს 50 მ

**ველოსიპედის სადგომი:** 2

**საპიკნიკე ადგილი:** 1

**მარშრუტის აღწერილობა:**

ველომარშრუტის ფარგლებში შესაძლებლობა გაქვთ გახვიდეთ ქალაქგარეთ, მოინახულოთ ულამაზესი ადგილები, გზად დაათვალიეროთ ბათუმის ღირშესანიშნაობები, ზღვისა და მთის უმშვენიერესი პანორამული ხედები, ასევე მდინარეები, მთები და ტყეები.

მარშრუტი იწყება ბათუმის ბულვარიდან და მიუყვება ბულვარის ველობილიკს (6 კმ) აეროპორტის გადასახვევთან შევუხვევთ მარცხნივ და გავივლით აეროპორტის ტერიტორიას, მდინარე ჭოროხზე (1), საავტომობილო ხიდის გავლით ვაგრძელებთ გზას ახალსოფლის მიმართულებით, ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გაყოლებით გავივლით ულამაზეს სოფლებს, ხეხილისა და მანდარინის ბაღებს და მახოს ხიდის (2) გადაკვეთის შემდეგ, გადავდივართ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, საიდანაც გზა გრძელდება ბათუმი-ახალციხის მთავარ საავტომობილო მაგისტრალზე და აუყვება მაჭახელას ხეობას. მაჭახელას ხეობისკენ მიმავალი მთავარი გზიდან მარშრუტი უხვევს სოფ. მირვეთისკენ (5), გადაკვეთს მდინარე ჭოროხზე არსებულ დაკიდულ ხიდს (4) და სასოფლო გრუნტოვან გზაზე დაახლოებით 1 კილომეტრის გავლის შემდეგ, მივდივართ დანიშნულების პუნქტთან - სოფელ მირვეთის საპიკნიკე ტერიტორიასთან, სადაც მოინახულებთ მირვეთის ჩანჩქერს (7), XII საუკუნეში აგებულ თაღოვან ხიდს (6) და ბზების ხეივანს (8). აქვე შესაძლებელია კარვების გაშლა, მწვადის შეწვა და მდინარეში ბანაობა.

უკანა გზა - მარშრუტი უკან ეშვება ბათუმი-ახალციხის მთავარ ავტომაგისტრალზე მახოს ხიდის (4) გავლით, ხელვაჩაურის მიმართულებით. ნახევარი გზის გავლის შემდეგ გზა უხვევს მარცხნივ, მეჯინისწყალზე (9), სადაც დგას ნიშნული, მოასფალტებული გზით მივდივართ აეროპორტის გზაჯვარედინთან და ამის შემდეგ გზა სრულდება იქ, საიდანაც დაიწყო მარშრუტი თავდაპირველად.

* * *

მარშრუტის დაწყება შესაძლებელია, როგორც ბათუმიდან, ასევე სოფელ აჭარისწყლიდან (3) (10) (11) (12) რომელიც მდებარეობს ბათუმიდან 17 კმ მოშორებით. იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობას დაიწყებთ სოფელ აჭარისწყლიდან, საჭიროა ველოსიპედების მიტანა სპეციალური ტრანსპორტით დანიშნულ ადგილამდე შემდეგ კი ველოსიპედებით მოგზაურობის გაგრძელება სოფელ მირვეთისკენ.




**პირობითი აღნიშვნები**

| | |
|---|---|
| ველო მარშრუტი ბათუმი-მირვეთი | |
| ველო მარშრუტი მირვეთი-ბათუმი | |
| საინფორმაციო ცენტრი | ეკლესია/მონასტერი |
| სამედიცინო ცენტრი | ციხე-სიმაგრე |
| ისტორიული ხიდი | ველოსადგომი |
| მუზეუმი | საკარვე ადგილი |
| საბაჟო | აეროპორტი |
| საპიკნიკე | პორტი |
| რესტორანი | ჩანჩქერი |
| ბანკი | |